ვინც ალლაჰს შეხვდება ისე, რომ არ დაუდგენს მას თანაზიარს - შევა სამოთხეში; ხოლო ვინც მას შეხვდება მასზე თანაზიარის დადგენით - ის შევა ჯოჯოხეთში

გადმოცემულია ჯააბირ იბნ აბდულლაჰისგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) რომ მან თქვა: მოვისმინე, რომ მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: "ვინც ალლაჰს შეხვდება ისე, რომ არ დაუდგენს მას თანაზიარს - შევა სამოთხეში; ხოლო ვინც მას შეხვდება მასზე თანაზიარის დადგენით - ის შევა ჯოჯოხეთში".

მოციქული მუჰამმადი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვამცნობს, რომ ვინც ალლაჰს არაფერს დაუდგენს თანაზიარად და ამ მდგომარეობაში გარდაიცვლება, მისი საბოლოო დანიშნულება სამოთხეა, თუნდაც იგი დაისაჯოს მისი ზოგიერთი ცოდვის გამო. ხოლო ვინც ალლაჰს დაუდგენს თანაზიარს და ამ მდგომარეობაში გარდაიცვლება, იგი მარადიულად დარჩება ჯოჯოხეთში.

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/3418

النجاة الخيرية
ALNAJAT CHARITY
لجنة الدعوة الإلكترونية
EDC E-Da'wah Committee